



**ახალგაზრდობის  
გაძლიერების ცენტრების  
სასწავლო კურსის  
ტრენინგების მოდულები**

2023

## შინაარსი

შესავალი .....	3
მშვიდობა და კონფლიქტი .....	6
ოჯახში ძალადობა.....	10
კონფლიქტის მიზეზები .....	16
გენდერი და გენდერული სტერეოტიპები.....	25
კონფლიქტის ესკალაცია .....	29
ტოლერანტობა .....	33
კონფლიქტის შედეგები.....	38
ადრეული ქორწინება .....	43
კონფლიქტის მოგვარება .....	47
ეთიკის და ესთეტიკის ნორმები. შვილების და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება .....	50

დაიბეჭდა

გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაცია

**Brot**  
für die Welt

Brot für die Welt –  
Evangelischer  
Entwicklungsdienst

მხარდაჭერით

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა,  
არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

## შესავალი

- ☺ ბევრი ახალი რამ გავიგე.
- ☺ ძალიან საინტერესო კურსი იყო.
- ☺ მომეწონა, სასარგებლო ინფორმაცია მივიღე.
- ☺ მეც გავხდი ტრენერი და ძალიან მიხარია.
- ☺ სიამოვნებით ვატარებ ტრენინგებს ჩემს თანატოლებთან.
- ☺ კარგია შეხვედრების ასეთი ფორმატი.
- ☺ მადლობა ქალთა ფონდ „სოხუმს“ ასეთი საჭირო კურსისთვის...

ასე ამბობენ ახალგაზრდები, გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, კმაყოფილებას...

ბევრი მათგანი მორიდებული იყო, კომპლექსები ჰქონდა. არ შეეძლო საჯარო გამოსვლა, უჭირდა ჯგუფთან მუშაობა. ახლა თვითონაა ტრენერი, სხვა აქტივობებშიც ჩაერთო... უთქვამს კიდევ, საკუთარ თავს ვერ ვცნობო. ცვლილებებს ამჩნევენ და აღნიშნავენ მშობლებიც და პედაგოგებიც.

ეს ცვლილებები ახალგაზრდებთან ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგია.

ქალთა ფონდი „სოხუმისთვის“ ახალგაზრდებთან მუშაობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობები ახალგაზრდებისთვის არა-ფორმალური განათლების მიწოდებას და მათში კონკრეტული კომპეტენციების და უნარების განვითარებას გულისხმობს. ეს ეხება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შეურიგებლობის აღზრდას, ტოლერანტობის კულტურის, კონფლიქტების მართვის, ძალადობის პრევენციის უნარების სწავლებას, რაც სა-

განმანათლებლო დაწესებულებებთან უშუალო პარტნიორობით ხორციელდება.

სამი წლის მანძილზე დასავლეთ საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა კონფლიქტის მართვის ჯგუფები და ახალგაზრდული კლუბები.

2021 წლის მარტიდან შეიქმნა ახალგაზრდობის გაძლიერების ცენტრები. 10 მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობებთან დაიდო შეთანხმებები და ამ ცენტრებში ახალგაზრდულ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან - მოზარდების ლიდერული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისთვის.

ამ კრებულში 10 მოდულია. ეს არის ახალგაზრდებთან ტრენინგების ჩატარების მოკლე ჩანაწერები.

ტრენინგები ტარდება დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში (სამტრედია, ბაღდათი, თერჯოლა, ვანი, ტყიბული, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩოხატაური, ქობულეთი).

სატრენინგო კურსი ექვსთვიანია. თვეში ტარდება ერთი შეხვედრა, რომელზეც განიხილება ორი თემა:

- **კონფლიქტის მართვა** (მშვიდობა და კონფლიქტი, კონფლიქტის მიზეზები, კონფლიქტის ესკალაცია, კონფლიქტის შედეგები და კონფლიქტის მოგვარება)
- **გენდერული საკითხები** (ძალადობა, გენდერი და გენდერული სტერეოტიპები, ტოლერანტობა, ადრეული ქორწინება, ეთიკა და ესთეტიკა)

კონფლიქტის მართვის კურსი ადაპტირებულია ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის „ქალები განვითარებისთვის“ (გიუმერი, სომხეთი) მიერ გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოს „კონფლიქტების მართვის სწავლება სკოლაში“ მიხედვით.

პირველი ხუთი თვის განმავლობაში ტრენინგებს წარმართავენ ქალთა ფონდი „სოხუმის“ ტრენერები: ლარისა შენგელია და ანჟელა ჩიხლაძე. კოვიდპანდემიის დროს შეხვედრები ონლაინ, ZOOM პლატფორმაზე ტარდებოდა. ახლა შეხვედრების ფორმატი კომბინირებულია, ანუ ონლაინაც იმართება.

ხუთი თვის მანძილზე ახალგაზრდები ატარებენ ე.წ. ინიცირებულ ღონისძიებებს - ანუ სხვადასხვა აქტივობას თავიანთი ინიციატივით: შეხვედრებს, კონკურსებს, აქციებს. წერენ ესეს, ქმნიან ნახატებს, ვიდეორგოლებს...

მეექვსე თვეს ტარდება შემაჯამებელი ღონისძიებები. შემაჯამებელი შეხვედრა სშირად ონლაინ ენყობა - ინვევენ სკოლების ხელმძღვანელებს, პედაგოგებს, მშობლებს. მონაწილეთაგან შერჩეული ლიდერები ატარებენ პრეზენტაციებს. ისინი წარმოაჩენენ თავიანთ ცოდნას, განიხილავენ იმ თემებს, რომლებზეც მუშაობდნენ ხუთი თვის მანძილზე. კურსის დასრულების შემდეგ ლიდერებს გადაეცემათ ახალგაზრდა ტრენერის დიპლომები, ხოლო დანარჩენები იღებენ სერტიფიკატებს აქტიური მონაწილეობისათვის.

სატრენინგო მოდულების კრებული დახმარებას გაუწევს მათ, ვინც ახალგაზრდებთან მუშაობს კონფლიქტის მართვის თუ გენდერულ საკითხებზე. ასევე ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ტრენერული უნარ-ჩვევების განვითარებას.



# მშვიდობა და კონფლიქტი

ტრენერი - ლარისა შენგელია



**თემა:** რა არის მშვიდობა?

**მიზანი:** მონაწილეები გაეცნენ „მშვიდობის“ და „კონფლიქტის“ ცნებებს, გააანალიზეს კონფლიქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

**მეთოდები:** მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მონაწილეები ფლობენ ცოდნას მშვიდობისა და კონფლიქტის შესახებ და ავრცელებენ თავიანთ სოციუმში

**ტრენინგის მიმდინარეობა**

**5 წთ.** - მისალმება, გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**20 წთ.** - ტრენერი ამზადებს ჯგუფს ინტერაქტივში ჩასართავად, სვამს კითხვებს, რათა განსაზღვროს ცოდნა თემის ირგვლივ:

- თქვენი აზრით, რა არის მშვიდობა?
- რა სიტყვებით დაახასიათებდით მშვიდობას (სოლიდარობა, სიყვარული, მეგობრობა, თანხმობა, მზე, უღრუბლო ცა, ბედნიერება, სიმშვიდე და ა.შ.)?

- რა ფერებს შეადარებდით მშვიდობას (თეთრი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, ოქროსფერი)?
- რომელ მუსიკალურ ნაწარმოებთან შეიძლება მშვიდობის შედარება (კლასიკური, ლირიკული, რომანსი, ხალხური და ა.შ.)?
- მშვიდობის რომელი სიმბოლოები იცით (თეთრი მტრედი, ქალაქის წერო და ა.შ.)?
- რა ქმედებები უწყობს ხელს მშვიდობის დამყარებას?
- როგორ ფიქრობთ, თქვენ უწყობთ ხელს მშვიდობის მშენებლობას? როგორ?

ტრენერი სთავაზობს მონაწილეებს თხზულების დანერას თემაზე: „როგორ აღვიქვამ მშვიდობას“.

## 5 წთ. - მინილექცია: რა არის კონფლიქტი

**კონფლიქტები** ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კონფლიქტი ცხოვრების ყველა სფეროს ახასიათებს. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება კონფლიქტის მონაწილე გახდეს. კონფლიქტი დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი ადამიანის, ოჯახის, ორგანიზაციის და, ზოგადად, კაცობრიობის ცხოვრებაზე. ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც ოდესმე კონფლიქტში არ ჩართულიყო. როგორც ერთ ცნობილ გამონათქვამშია აღნიშნული: „თუ თქვენს ცხოვრებაში კონფლიქტი არ ყოფილა, შეამოწმეთ გულისცემა“.

კონფლიქტს შეიძლება დამანგრეველი ეფექტი მოჰყვებოდეს, რომელიც ხელს უშლის მშვიდობის კულტურის განვითარებასა და ძლიერებას. კერძოდ, კონფლიქტი შესაძლოა შიშის, გაბოროტების, გულის აცრუების და სხვა უარყოფითი ემოციური მდგომარეობის წყაროდ იქცეს. კონფლიქტი ხელს უწყობს ადამიანებში აგრესიის გაღვივებას, რაც, თავის მხრივ, სხვებს აიძულებს, დაემორჩილონ ამ ადამიანს (ვგუფს) და მიიღონ მხოლოდ მისი

ინტერესები, ღირებულებები და მოთხოვნები, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი.

მე-20 საუკუნეში კონფლიქტი ადამიანთა ტრაგიკული სიკვდილიანობის ძირითად მიზეზად გადაიქცა: მეორე მსოფლიო ომი, 200-მდე ფართომასშტაბიანი ომი, გენოციდები, ლოკალური სამხედრო კონფლიქტები, მკვლევლობები, თვითმკვლევლობები. ამ და კონფლიქტის სხვა ფორმებმა 300-მდე მილიონი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა.

ადამიანები და მათი გაერთიანებები (ოჯახი, მეგობრები, ხალხი) ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ამ განსხვავებების შეტაკების გამო ხდება კონფლიქტი. მაგალითად, განსხვავებული მსოფლმხედველობა, აზროვნება, ღირებულებები, ინტერესები, მიზნები. კონფლიქტის მიზეზი ხდება სოციალური უთანასწორობა, უსამართლობა, დისკრიმინაცია.

კონფლიქტი ასევე შეიძლება გაჩნდეს იქ, სადაც რესურსი და სახსრები შეზღუდულია.

### **10 წთ. - დავალება:**

- მოიყვანეთ ოჯახში, სკოლაში, ისტორიაში მომხდარი კონფლიქტის მაგალითები
- გაიხსენეთ მაგალითი, რომელსაც დადებითი გავლენა ჰქონდა
- შეეცადეთ, კონფლიქტის თქვენებური განმარტება გააკეთოთ

რამდენიმე მოსწავლის მიერ მოყვანილი მაგალითებისა და განმარტებების შემდეგ ჩამოაყალიბეთ განმარტება: კონფლიქტი მეტოქეობის ფორმაა, როდესაც ორ ან მეტ ადამიანს ან ჯგუფს სინამდვილეში შეუთავსებელი ან მოჩვენებით შეუთავსებელი მიზნები და აზრები აქვთ.

### **5 წთ. - მინილექცია: კონფლიქტის დადებითი მხარეები**

კონფლიქტზე საუბრისას, ჩვენ, პირველ რიგში, მის უარყოფით გავლენაზე ვსაუბრობთ. მაგრამ კონფლიქტს, შესაძლოა, დადებითი მხარეც ჰქონდეს. კერძოდ:



- როდესაც კონფლიქტში ვერთვებით, ვსწავლობთ, ვიძენთ ახალ ცოდნას, უნარებს და პირად გამოცდილებას.
- კონფლიქტი გვაფრთხილებს, რომ არსებობს ადამიანთა სხვა ჯგუფი (შშმ პირები, უსახლკაროები, უმუშევრები), რომელთა ინტერესები, ღირებულებები და მოთხოვნები ჩვენ საკუთარი არჩევანის დროს უნდა გავითვალისწინოთ.
- კონფლიქტი იმის გაგებაში გვეხმარება, რომ არსებობენ ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, ვისი ინტერესებიც უგულვებელყოფილია და ისინი ყურადღებას და თანადგომას საჭიროებენ. კონფლიქტი მიგვითითებს, რომ არის პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებს.
- კონფლიქტი ჩადებულია ევოლუციის საფუძველში.

**15 წთ.** - მინისცენები (სიტუაციების გათამაშება)

**20 წთ.** - დავალება (ჯგუფებში სამუშაო)

დაყავით მონაწილეები 4-5 კაციან ჯგუფებად. ჯგუფებს მიეცით დავალება: პანტომიმის ან ქანდაკების მეშვეობით წარმოადგინონ სიტყვები „მშვიდობა“ და „კონფლიქტი“. ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ სხვა ჯგუფები ცდილობენ იმის გამოცნობას, თუ რა იყო წარმოდგენილი.

მონაწილეები დაყავით 2 ჯგუფად. თითოეული ჯგუფი ქალაქში ხატავს დიდფურცლოვან გვირილას. ერთი ჯგუფი შუაში წერს სიტყვა „მშვიდობა“, მეორე სიტყვას - „კონფლიქტი“. მონაწილეებმა ფურცლებზე უნდა დაწერონ მშვიდობისა და კონფლიქტის დამახასიათებელი სიტყვები.

**10 წთ.** - შეჯამება, უკუკავშირი: რა განვიხილეთ ტრენინგის მსვლელობისას? რა ისწავლეთ ამ ტრენინგზე ახალი? აღნიშნეთ 1-2 რამ, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვის.

# თჯახში ძალადობა

ტრენერი - ანჟელა ჩიხლაძე



**თემები:** ოჯახში ძალადობა, მიზეზები, სტატისტიკა, დაცვის მექანიზმები - ძალადობის პრევენციისთვის

**მიზანი:** მოზარდები ინფორმირებულნი არიან ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მათ აქვთ ინტერესი, ჩაერთონ ძალადობის პრევენციის პროცესში

**მეთოდები:** გონებრივი იერიში, მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გააცნობიერეს, რა არის ძალადობა, როგორ უნდა დაიცვან თავი და გარშემოცოფები, გამოიმუშავეს საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და სხვადასხვა მიაწვდიან ინფორმაციას

**ტრენინგის მიმდინარეობა**

5 წთ. - მისალმება, შესავალი, თემის გაცნობა

5 წთ. - გონებრივი იერიში: რა არის ძალადობა

5 წთ. - მინილექცია - ოჯახში ძალადობა

2006 წელს საქართველოში მიღებულ იქნა „კანონი ოჯახში

ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. 2017 წლიდან მას ეწოდება „საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

ოჯახში ძალადობის დეფინიცია ასეთია: „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.

კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში იგულისხმება ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობა; სიცოცხლის უფლება; თავისუფალი განვითარების უფლება; პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა; ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის დაუშვებლობა; თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა; სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; განათლების მიღების უფლება და სხვა.

**15 წთ.** - სავარჯიშო: ძალადობის ქეისების განხილვა (გამოიკვეთება ძალადობის ფორმები)

**5 წთ.** - მინილექცია: ძალადობის ფორმები  
ძალადობის ფორმებია:

**ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცი-  
რება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის  
პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

**ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვე-  
ბით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირო-  
ბებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების  
განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონე-  
ბით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით  
შეზღუდვას;

**სექსუალური ძალადობა:** სქესობრივი კავშირი ძალადობით,  
ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით;  
სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქ-  
მედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

**იძულება:** ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება,  
შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორ-  
ციელება ან და რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან  
საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღ-  
მდეგო ზემოქმედება.

**15 წთ.** - ძალადობის სცენების გათამაშება

ჯგუფი იყოფა 2 ნაწილად, დგამენ სცენებს ძალადობის გა-  
მოვლინებასა და მის ფორმებზე

ტრენერის კომენტარი:

**მსხვერპლი** არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზი-  
კური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება.

**მოძალადე** არის ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევ-  
რის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუა-  
ლურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს.

**ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები**

ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარ-  
კვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველყოფის მიზნით

უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გამოსცეს დამცავი და შემაკავებელი ორდერი.

**შემაკავებელ ორდერს** პოლიციის თანამშრომელი, უშუალოდ, ფაქტზე რეაგირების დროს გამოსცემს და იგი დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

**დამცავი ორდერის** გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მისი ოჯახის წევრს ან პირს, მსხვერპლის თანხმობით, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს.

**20 წთ.** - დისკუსია: რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ?

მონაწილეები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ტრენერი აჯამებს ნათქვამს და აკეთებს კომენტარს, რომელიც ერთგვარად რჩევებსაც წარმოადგენს:

უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი არსებობს, რატომაც რჩებიან ადამიანები ძალადობრივ ურთიერთობაში, მათ შორის, არსებობს შიშის ფაქტორიც, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დატოვება შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მსხვერპლისთვის.

ძალადობა გულისხმობს კონტროლსა და ძალაუფლებას, ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, დაეხმარო შენს მეგობარსა თუ ოჯახის წევრს, არის მისი გაძლიერება, რათა მან თავად მიიღოს გადაწყვეტილება და დაიწყოს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა.

- ✓ გაიაზრე, რომ ეს ადამიანი რთულ სიტუაციაშია. მზად იყავი, მხარი დაუჭირო მას. უთხარი მას, რომ ძალადობა მისი ბრალი არ არის. ეცადე, დაარწმუნო, რომ მარტო არაა და შესაძლებელია მისი დახმარება. მისთვის შეიძლება რთული იყოს ძალადობაზე საუბარი. დაარწმუნე, რომ მზად ხარ, მოუსმინო და დაეხმარო, როცა ის თავად იქნება მზად. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეგულებოდეს ვინმე, ვინც მოუსმენს.

- ✓ არ განსაჯო. ბევრი მიზეზია, რის გამოც ის შეიძლება ძალადობრივ ურთიერთობაში რჩებოდეს. მან შეიძლება არაერთხელ დატოვოს, მაგრამ ისევ დაბრუნდეს ურთიერთობაში. ნუ გააკრიტიკებ მის გადაწყვეტილებას და ნუ შეეცდები, დაადანაშაულო.
- ✓ თუ მან დაასრულა ურთიერთობა, იყავი მისი მხარდამჭერი ამის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა ძალადობრივი იყო, შენი მეგობარი შეიძლება მაინც მარტოდ და სევდიანად გრძნობდეს თავს, ამ პერიოდში მას განსაკუთრებით დასჭირდება შენი მხარდამჭერა.
- ✓ ხელი შეუწყვე, დრო გაატაროს მეგობრებისა და ოჯახის გარემოცვაში. მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან დროის გატარება შეახსენებს, რომ ის უყვართ და მასზე ზრუნავენ.
- ✓ დაეხმარე, დაგეგმოს ურთიერთობის უსაფრთხოდ დასრულება. დაეხმარე, შეიმუშაოს გეგმა, რომელსაც ურთიერთობის დატოვებისას გამოიყენებს. ხელი შეუწყვე, დაელაპარაკოს ადამიანებს, რომლებსაც დახმარების შეთავაზება შეუძლიათ.
- ✓ ეცადე, აუხნა მეგობარსა თუ ოჯახის წევრს, რომ არსებობს ორგანიზაციები (მაგ., ქალთა ფონდი „სოხუმი“), სადაც უფასო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარდამჭერას მიიღებს. უთხარი, რომ მზად ხარ, დაეხმარო, მათთან გავიდეს კონტაქტზე, მოიძიე ასეთი ორგანიზაციები მისთვის.
- ✓ გახსოვდეს, რომ შენ „გადაარჩენ“ მას.
- ✓ არასოდეს გაამჟღავნო შენი მეგობრის ან ოჯახის წევრის ადგილსამყოფელი. გახსოვდეს, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დატოვება ძალიან საშიშია, არ დაწერო ფეისბუქზე მის შესახებ, სად ხარ მასთან ერთად და ა.შ.

**5 წთ.** - მინილექცია: ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები. სად დავრეკოთ ძალადობის შემთხვევაში?

112 - გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი. ერთი ზარით შესაძლებელია პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

116 006 - ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზი. ზარი უფასოა და კონსულტირება ხორციელდება 9 ენაზე.

112-ში შეიძლება დარეკვა მყისიერი რეაგირებისთვის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირს, მეზობელს, მეგობარს, ნათესავს არ სურს პერსონალური ინფორმაციის გაჟღერება, უმჯობესია, დარეკოს 116 006-ზე.

111 - ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი. ზარი უფასოა და კონსულტირება ხორციელდება 9 ენაზე.

ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ შექმნა ვებგვერდი „ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“ - <https://sofsokhumi.ge/>. აქ თავმოყრილია შემდეგი ინფორმაცია: სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის, კანონმდებლობა, ეროვნული რეფერალური მექანიზმი, პუბლიკაციები (ანგარიშები და კვლევები), მობილური აპლიკაციები და ცხელი ხაზის ნომრები, პასუხები სხვადასხვა კითხვაზე, სიახლეები.

### **15 ნთ. - ფილმის ჩვენება**

ძალადობის თემაზე ნაჩვენები იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც გვაძლევს შეფასების შესაძლებლობას ტრენინგით მიღებულ ცოდნასთან დაკავშირებით.

# კონფლიქტის მიზეზები

ტრენერი - ლარისა შენგელია



**თემა:** კონფლიქტის მიზეზები

**მიზანი:** მონაწილეები გაეცნენ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს

**მეთოდები:** მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20 თითოეულ მუნიციპალიტეტში

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მონაწილეები გაეცნენ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და შეუძლიათ გაავრცელონ ინფორმაციები თავიანთ სოციალურ გარემოში

## ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**5 წთ.** - თემის გაშლა: ტრენერი ამახვილებს ყურადღებას კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე, რომ კონფლიქტები ჩნდება უსახსრობის, განსხვავებული ღირებულებების, განსხვავებული აღქმის, ინფორმაციის ნაკლებობის და ძირითადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო.



**20 წთ.** - ჯგუფური მუშაობა: კონფლიქტის წარმოშობის მაგალითები. მონაწილეებს ვცოფთ 5 ნაწილად. თითოეულს ეძლევა თავისი დავალება.

### **ჯგუფი 1. უსახსრობით გაჩენილი კონფლიქტები**

(წაიკითხეთ სიტუაციები და თითოეულს მოუძებნეთ კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა. შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციის ინსცენირება).

1. დედას აქვს გარკვეული თანხა, რომელიც საკმარისია მხოლოდ ერთი ნივთის შესაძენად: კაბის - უფროსი ქალიშვილისთვის ან ფეხსაცმლის - უმცროსისთვის. ორ დას შორის კონფლიქტური სიტუაცია ჩნდება (უსახსრობა).

2. მამა ორ შვილს თითო საათით მეცადინეობას დაჰპირდა. ერთს უნდა აუხსნას მათემატიკური ამოცანები, რათა მეორე დღეს საკონტროლო წარმატებით დაწეროს, მეორეს კი უნდა ასწავლოს სწორი პროექციების ხაზვა, რაზეც შვილის სემესტრული ნიშანია დამოკიდებული. მეცადინეობის დაწყებისთანავე მამას სამსახურიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ 1,5 საათში სამსახურში უნდა გამოცხადდეს და მნიშვნელოვან შეხვედრას დაესწროს. ბიჭებს შორის კონფლიქტი გაჩნდა, რომელს უფრო ესაჭიროება მამის დახმარება და რომელს უნდა დაუთმოს დარჩენილი ერთი საათი (შეზღუდული დრო).

3. მატარებლით 10-12-საათიანი მოგზაურობის დროს ოჯახის ყველა ბავშვს ფანჯარასთან უნდა დაჯდომა. ბავშვებს შორის კამათი იწყება (შეზღუდული პირობები).

4. ხუთ ბავშვზე მხოლოდ ერთი ფორთოხალია. ისინი ჩხუბობენ (მატერიალური შებოჭილობა).

თუ კონფლიქტის მიზეზია უსახსრობა, მაშინ კონფლიქტის მხარეებისთვის უფრო მიზანშეწონილია თანამშრომლობა, ვიდრე დაპირისპირება. თანამშრომლობისას ისინი ერთმანეთის ინტერესებს იზიარებენ და პოულობენ გამოსავალს.

## ჯგუფი 2. განსხვავებული ღირებულებები

(ნაიკითხეთ მაგალითები და დაფიქრდით, როგორ შეიძლება კონფლიქტების თავიდან აცილება).

ღირებულებებია: რწმენა, პრინციპები, შეხედულებები და ა.შ. ხშირად კონფლიქტები სხვადასხვა ღირებულების მქონე პირებს შორის ჩნდება, როცა ეროვნული წესები სათანადოდ არ ფასდება, ან სძულთ.

მაგალითები:

1. ნებისმიერი სახელმწიფოს ღირებულებებს წარმოადგენს გერბი, ჰიმნი, დროშა, რელიგია და ა.შ. (თუ სხვა სახელმწიფოს სიმბოლოებს უპატივცემლოდ ეპყრობიან, ან ამცირებენ).

2. ყველა ერის, ხალხის ღირებულებას მისი ტრადიციები და ადათ-წესები ახასიათებს (თუ არ იღებენ, ან დასცინიან სხვა ეროვნების ტრადიციებს).

3. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ღირებულება მათი ჯილდოებია, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდების ნაწილისთვის ეს მედლები მხოლოდ და მხოლოდ რკინის ნატეხია (თუ შეურაცხყოფას აყენებენ ომის ვეტერანს, სასაცილოდ იგდებენ მის ჯილდოებს).

ყველა ადამიანს საკუთარი გემოვნება აქვს: რაც ერთს მოსწონს, მეორეს შეიძლება უშნოდ მოეჩვენოს. მაგ., ანა სკოლაში ახალი პერანგით მოვიდა. მეგობარი კლასში შემოდის და ეკითხება: „ეს ძველმოდური პერანგი სად ნახე? მე ასეთს არასოდეს ჩავიცვამდი“.

ასეთ დროს ორივე მხარეს თავი მართალი ჰგონია. მიიჩნევს, რომ მისი პრინციპი ჭეშმარიტია, მეორე მხარე კი ცდება. ასეთი კონფლიქტების მოგვარება ძალიან რთულია, რადგან მხარეებს საკუთარი ღირებულებები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

ღირებულებათა კონფლიქტების მოგვარება არ ნიშნავს, რომ მეორე მხარემ საკუთარი ღირებულებები უნდა უგულებელყოს და სხვისი მიიღოს. უნდა შეგვეძლოს სხვისი ეროვნული, კულ-

ტურული თუ მორალური ღირებულებების პატივისცემა. თუ კონფლიქტის მხარეები შეძლებენ, რომ სხვადასხვა ღირებულების სისტემების გამო არ უარყონ ერთმანეთი, მათ გაუადვილდებათ პრობლემების მოგვარება.

### **ჯგუფი 3. აღქმის სხვაობა**

ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულად აკომენტარებს - იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამს მას. ადამიანები და საგნები სხვადასხვანაირად გვეჩვენება, გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ. ერთი და იგივე ინფორმაცია, ჩვენი აღქმიდან გამომდინარე, განსხვავებულად განიმარტება.

მაგალითები:

1. თუ ჭიქაში ნახევრამდე წყალი ასხია, ერთი აღიქვამს მას, როგორც ნახევრად ცარიელს, მეორე კი - ნახევრად სავსეს.

2. შეეცადეთ გააკეთოთ ინსცენირება ტექსტისა „უსინათლოები და სპლიყვი“:

„რამდენიმე უსინათლო მივიდა სპლიყვთან და გარჩევა დაინყეს, რას ჰგავდა ის. ერთმა, რომელმაც თათს მოჰკიდა ხელი, თქვა, რომ პალმის ტანს ჰგავს. ვინც კუდს შეეხო, ჭილობს მიაგვანა. მესამემ ხორთუმი გველთან გააიგივა. ის კი, ვინც ყურს შეავლო ხელი, ამტკიცებდა, რომ ეს სქელი პერგამენტი. კამათი დაიწყო. თითოეული თავს მართლად თვლიდა და თავის სიმართლეს ამტკიცებდა. კამათი ჩხუბში, შემდეგ კი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. საკუთარი სიმართლე ყველაზე ძლიერმა დაამტკიცა. აღმოჩნდა, რომ ეს ის უსინათლო იყო, რომელმაც ყურს მოჰკიდა ხელი. ყველა შეთანხმდა, რომ ეს პერგამენტი იყო.“

რამი არის კონფლიქტის მიზეზი? თითოეულმა უსინათლომ სპლიყვის მხოლოდ ნაწილის მოსინჯვა მოასწრო და შეფასება ცალმხრივი აღმოჩნდა. თავისებურად, ყველა მათგანი მართალია. მაგრამ თითოეულის რწმენა სიმართლის მხოლოდ მცირედი ნაწილია.

3. „მშვიდობის ფერი შავია, კონფლიქტის - თეთრი“. მშვიდობის გაკვეთილის დროს ერთმა მოსწავლემ მშვიდობას შავი ფერი მიუსადაგა და ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩემთვის მშვიდობის ფერი შავია, იმიტომ, რომ ეს მშვიდობიანი ღამის და ნაყოფიერი მიწის ფერია. თუ ღამე მშვიდია და ყველას სძინავს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველგან მშვიდობა სუფევს, მხოლოდ ნაყოფიერ მიწას აქვს შავი ფერი. და თუ მიწა ნაყოფიერია, მაშინ ხალხიც მადლარია და მშვიდობა სუფევს.“ მეორე მოსწავლემ კონფლიქტისფრად თეთრი დაასახელა და თქვა: „შარშან ველოსიპედით სეირნობისას ხელი მოვიტეხე. იმ დღეს თეთრი პერანგი მეცვა. არ მიყვარს თეთრი ფერი, ის ტკივილს მაგონებს“.

4. ჩვენი აღქმა ხშირად სტერეოტიპებში გადადის. სტერეოტიპი არის ადამიანთა მთელ ჯგუფზე განზოგადებული წარმოდგენა. ზოგჯერ სტერეოტიპი სხვების მიერ გამოთქმულს ან წაკითხულს ეყრდნობა, როცა ამ ადამიანებს პირადად არ იცნობთ. ზოგი სტერეოტიპი იმდენად გამჭადარია, რომ ჭეშმარიტებად ითვლება.

მაგალითები:

- ყველა ამერიკელი მდიდარია.
- ვინც სათვალეს ატარებს, ყველა ჭკვიანია.

კითხვები:

- შეგიძლიათ მაგალითები დაამატოთ?
- სწორია, იხელმძღვანელო მაგალითებში მოყვანილი სტერეოტიპებით?

#### **ჯგუფი 4. ინფორმაციის ნაკლებობა ან არასწორი ინტერპრეტირება**

ნაიკითხეთ ტექსტი, ითამაშეთ „გაფუჭებული ტელეფონი“. შეეცადეთ, გაიხსენოთ სიტუაციები, როდესაც ინფორმაციის ნაკლებობამ ან ცრუ ინფორმაციამ კონფლიქტი გამოიწვია.

ურთიერთობისას შესაძლოა ინფორმაციის დამახინჯება ან

დაკარგვა. საუბრისას, ადამიანს არ შეუძლია განსახილველ საკითხზე მის ქვეცნობიერებაში არსებული ინფორმაციის გადმოცემა დამახინჯების გარეშე. ინფორმაციის ნაწილი ადამიანის სიტყვების მწირი მარაგის გამო იკარგება.

გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ადამიანი ამ ენის ყველა სიტყვას არ ხმარობს. მაგ., პუშკინის ლექსიკონი 21 000 სიტყვას შეადგენდა. საშუალო განათლების მქონე თანამედროვე ადამიანის ლექსიკონი 4000 სიტყვაა. რაც უფრო მწირია ადამიანის ლექსიკა, მით უფრო უჭირს მას საკუთარი აზრის გამოხატვა და მისი მნიშვნელობის გადმოცემა. ხშირად ინფორმაციის აზრი, მეტყველების არასწორი აქცენტების დაყენების გამო მახინჯდება და შეიძლება კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

#### **ჯგუფი 5. ძირითადი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა**

ნაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მოთხოვნილებების მაგალითები და შეეცადეთ თითოეულზე საკუთარი მაგალითები მოიყვანოთ. არის რიგი მოთხოვნილებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობაც ადამიანის ქცევაზე მოქმედებს და შეიძლება კონფლიქტის მიზეზიც გახდეს. ეს არის:

- უზრუნველყოფის და უსაფრთხოების მოთხოვნილება (მიიღწევა შეძენის გზით)
- სიყვარულის და ერთგულების მოთხოვნილება (მიიღწევა რომელიმე ჯგუფის კუთვნილებით; შესაძლებლობით, უყვარდე და გიყვარდეს; შეძლო, ვინმეს გაუზიარო შენი სიყვარული და ცოდნა; თანამშრომლობით)
- თავისუფალი არჩევანის მოთხოვნილება (მიიღწევა თავისუფალი არჩევანით)
- პატივისცემისა და ავტორიტეტის მოთხოვნილება (მიიღწევა მიზნების მიღწევით, აღიარებითა და პატივისცემით)
- საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილება (მიიღწევა საყვარელი საქმით)

მაგალითი 1. აფხაზეთის ომის შემდეგ 29 წელი გავიდა, მაგრამ დღესაც არიან საცხოვრებელი პირობებით დაუკმაყოფი-

ლებელი ოჯახები. სანამ ოჯახი ბინას არ მიიღებს, კონფლიქტი მოგვარებულად ვერ ჩაითვლება (უსაფრთხოების მოთხოვნილება).

მაგალითი 2. ყველა ადამიანს სჭირდება ოჯახი/ჯგუფი, იმის შეგრძნება, რომ ვილაცას უყვარს და ვილაც უყვარს. ოჯახის და სიყვარულის უქონლობა შესაძლოა კონფლიქტის მიზეზი გახდეს (სიყვარულის და სითბოს მოთხოვნილება).

მაგალითი 3. მოზარდს მომავალი პროფესიის არჩევის უფლება აქვს. თუ მშობლები მას არჩევანის თავისუფლებას უზღუდავენ და აიძულებენ, სხვა პროფესია აირჩიოს, მშობლებსა და მოზარდს შორის კონფლიქტი ჩნდება (თავისუფალი არჩევანის მოთხოვნილება).

მაგალითი 4. საპარლამენტო არჩევნებზე ერთი მანდატისთვის რამდენიმე კაცი იბრძვის (ავტორიტეტის და პატივისცემის მოთხოვნილება).

მაგალითი 5. ორი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი შეუღლდა. ქმარი იაპონელია, მას დასვენების დღეებში სახლში ყოფნა, მუსიკის მოსმენა და ტელევიზორის ყურება უყვარს. ცოლი ებრაელია, მას ხმაურიანი საღამოები და ხმამაღალი მუსიკა უყვარს (საკუთარი ინტერესების და პრიორიტეტების დაკმაყოფილების მოთხოვნილება).

## **15 წთ. - პრეზენტაციები**

### **15 წთ. - დავალება**

აჩვენეთ მონაწილეებს ნახატი. შესთავაზეთ, ერთმანეთის აზრი მშვიდად, შეურაცხყოფის და კამათის გარეშე მოისმინონ, თუ ეს აზრი მათ აზრს არ ემთხვევა. შემდეგ აუხსენით, რომ ნახატზე ორი პორტრეტია გამოსახული - ახალგაზრდა და მოხუცი ქალის. დავალების მიზანი იმის დემონსტრირებაა, რომ, აღქმის სხვაობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა რამეს ხედავს. მონაწილეები დარწმუნდებიან, მიუხედავად იმი-

სა, რომ ნახატს ერთი მანძილიდან უყურებენ, სხვადასხვა რამ დაინახეს. ორივე მართალია, რადგან სინამდვილეში ნახატზე ორი პორტრეტია. იმისთვის, რომ ერთმანეთს არ ეკამათონ და არ შეურაცხყონ ისეთი გამონათქვამებით, როგორებიცაა: „შენ ფანტაზია არ გაქვს“, „ეს არასწორია“, და ა.შ., მათ ამხანაგის აზრი ყურადღებით უნდა მოისმინონ, აჩვენონ ნახატზე ის გამოსახულება, რომელიც დაინახეს და სთხოვონ, აჩვენოს ის, რაც მან დაინახა. ასე დარწმუნდებიან, რომ ორივე მართალია და კამათის საბაბი არ არსებობს.

## **20 წთ. - თამაში „შემთხვევა მაღაზიაში“**

სთხოვეთ 8 მონაწილეს, ოთახიდან გავიდნენ. ერთ-ერთი მონაწილე კლასში რჩება, დანარჩენები კი მეთვალყურეები იქნებიან.

წამყვანი პირველ მონაწილეს მიმართავს: „კარგად მომისმინე, მალე აქ პოლიცია მოვა. მეჩქარება, საავადმყოფოში უნდა წავიდე. როცა მაღაზიიდან გამოვდიოდი, კარებში ერთი ახალგაზრდა შემხვდა, თუ არ ვცდები, ვილაცამ „გიო“ დაუძახა. გასვლისას ხელი მკრა, ეტყობა, ეჩქარებოდა. ის დაახლოებით 23 წლისაა, სიმაღლე სადღაც 1,85, აცვია ძველი ჯინსები, ლურჯი პიჯაკი, ზოლებიანი პერანგი, წითელი კაშნე, თავზე - სპორტული კეპი. მას კიდევ მზის სათვალე ეკეთა. ხო, არ დაგავინწყდეს, ხელში სპორტული ჩანთა ეჭირა. კაი, წავედი, ძალიან მეჩქარება“.

კლასში მეორე მონაწილეს იწვევენ. პირველმა მეორეს გაგონილი რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა მოუყვეს. საუბარში არავინ ერევა. დამკვირვებლები შენიშვნებს აფიქსირებენ. შემდეგ იწვევენ მესამეს. მეორემ მას უნდა გადასცეს გაგონილი. და ასე - ყველა მონაწილესთან. წამყვანი ბოლო მონაწილეს სთავაზობს, გაიმეოროს ყველაფერი, რაც მოისმინა და ბოლოდან წინას მოუყვეს, მის მონაყოლს დეტალები დაუმატოს. ასეთი თან-

მიმდევრობით აგრძელებენ სხვებიც პირველამდე. დასასრულს მონაწილეები ადარებენ წამყვანის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და ბოლო მონაწილის მოყოლილს. თამაშის აზრი იმაშია, რომ ურთიერთობის პროცესში ინფორმაციის ნაწილი შეიძლება დაიკარგოს, ან ახალი ფაქტები დაემატოს. ჩნდება ახალი კონფლიქტი (მაგალითად, მაღაზიაში შემოსული ქალბატონი იგებს, რომ მისი შვილი მანქანამ გაიტანა და ის საავადმყოფოშია, ურეკავს მეუღლეს და პოლიციას). შემდეგ? იმისათვის, რომ ინფორმაციის ნაკლებობა კონფლიქტის მიზეზი არ გახდეს, აუცილებელია მისი დაზუსტება.

**10 ნთ.** - შეჯამება-უკუკავშირი: რა განვიხილეთ ტრენინგის მსვლელობისას? რა ისწავლეთ ამ ტრენინგზე ახალი? აღნიშნეთ 1-2 რამ, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვის.



# გენდერი და გენდერული სტერეოტიპები

ტრენერი - ანჟელა ჩიხლაძე



**თემა:** გენდერი და გენდერული ასპექტები ძალადობრივ ქრილში, სტერეოტიპები და ტრადიცია

**მიზანი:** მონაწილეებმა იციან, რას ნიშნავს გენდერი, გენდერული თანასწორობა და სტერეოტიპები

**მეთოდი:** გონებრივი იერიში, მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტი

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**ჩატარების თარიღი:**

**მონაწილეთა რაოდენობა - 20**

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გააცნობიერეს, რა არის გენდერი, მისი მნიშვნელობა, შეიძინეს საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და შეუძლიათ გახდნენ მიღებული ცოდნის გამტარები-გამავრცელებლები

## ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება, შესავალი, თემის გაცნობა

**5 წთ.** - გონებრივი იერიში: რა არის გენდერი

**10 წთ.** - მინილექცია: გენდერი და სქესი

**გენდერი** არის კულტურული მახასიათებლების სპეციფიკური ნაკრები, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის სოციალურ ქცევას და მათ შორის ურთიერთობებს. ასევე არის მოლოდინი, რომელიც საზოგადოებას გააჩნია ქალის/კაცის მიმართ საოჯახო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გენდერის გასაგებად აუცილებელია, გავმიჯნოთ იგი ცნებისაგან „სქესი“.

**სქესი** ეხება ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიურ ატრიბუტებს. ადამიანები იბადებიან მამაკაცებად ან ქალებად და ეს განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ, მაგ.: იმშობიარონ, ასწიონ უფრო მძიმე საგნები, ძუძუთი კვებონ, იმღერონ უფრო მაღალ რეგისტრში და ა.შ. ამიტომ ვამბობთ, რომ სქესი ბიოლოგიით განისაზღვრება.

გენდერი ეხება შეხედულებებს, მოლოდინებსა და წესებს ქალებისა და მამაკაცებისათვის. იგი სოციალურად არის განპირობებული: ადამიანები იბადებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოედიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა თვისებები განივითარონ, რა ადგილი უნდა დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა წესებს დაემორჩილონ და ა.შ.

**10 წთ.** - სავარჯიშო: სქესი თუ გენდერი

- ქალები აჩენენ ბავშვებს, მამაკაცები - არა.
- გოგოები სკოლაში ბიჭებზე უკეთ სწავლობენ.
- მამაკაცები არ ტირიან.
- მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ეკავოს თანამდებობები.
- ყველა მამაკაცი აგრესიულია, ქალები კი მშვიდები არიან.
- მამაკაცები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ქალები.
- ვაჟებს გარდატეხის ასაკში ხმა უბოხდებათ, ქალებს - არა.
- ქალები მამაკაცზე ეჭვიანები არიან.
- მამაკაცები უფრო სპორტულები არიან, ვიდრე ქალები.

- ქალებს შეუძლიათ ძუძუთი კვება, მამაკაცებს - არა.
- ქალები საუკეთესო მზარეულები არიან.
- ყველა მამაკაცი ატარებს მანქანას.
- ქალებს უფრო ადვილად შეუძლიათ ავადმყოფობის ატანა.

**15 წთ.** - ფილმის ჩვენება გენდერულ როლებზე

**20 წთ.** - ჯგუფი იყოფა 2 ნაწილად, ეძლევათ დავალება: განსაზღვრეთ გენდერულ ქრილში სტერეოტიპული მიდგომები ქალის და მამაკაცის როლებზე და პრეზენტაციები

**15 წთ.** - მინილექცია: გენდერული სტერეოტიპები

**სტერეოტიპი** ბერძნული სიტყვაა (στέρεός - მყარი და τύπος - შთაბეჭდილება) და ნიშნავს მყარად გამჯდარ, გავრცელებულ აზრს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ჭეშმარიტება.

სტერეოტიპები - ის შეხედულებებია, რომლებიც ადამიანების გარკვეული ჯგუფის ქცევას, ცხოვრების წესს ახასიათებს. ეს არის მოდელი, ფსიქიკის ფუნქცია, ადაპტაცია მოხდინოს გარემოში.

ტერმინის ავტორად მიიჩნევენ ამერიკელ სოციოლოგსა და ჟურნალისტს უოლტერ ლიპმანს.

არსებობს სხვადასხვა სახეობის სტერეოტიპები: სოციალური, მენტალური, ეთნოკულტურული და სხვა. მაგ.:

- წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ ვინმე არ დაგეხმარა.
- რაც უფრო ძვირია ფასი, მით უფრო ხარისხიანია ნივთი.
- მდიდარი ძუნწი და ხარბია, ღარიბი - კეთილი.
- ორშაბათი მძიმე დღეა.

ცალკე გამოიყოფა გენდერული სტერეოტიპები. ეს არის ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, გაბატონებული შეხედულება ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ, ანუ, როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან მამაკაცი ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგალითად:

- ქალი ემოციურია, სუსტია.
- ქალი მშვიდობისმყოფელია, მამაკაცი - მეომარი.
- ქალის მისიაა - დედობა/ბავშვების გაჩენა
- ძლიერი ქალები, როგორც წესი, მარტონი არიან.
- ბიზნესლედის არა აქვს დრო ოჯახისთვის.
- ქალი ვიცი „კუხნაში“.
- გოგოს რად უნდა სწავლა? გათხოვდება და ქმარი მიხედავს.
- ოჯახის რჩენა მხოლოდ კაცის საქმეა.
- პოლიტიკა რა ქალის საქმეა!
- ბიჭია, სხვანაირი ტვინი აქვს.
- მამაკაცმა არ უნდა იტიროს.
- ყველა მამაკაცი ფეხბურთს თამაშობს
- მამაკაცმა უნდა იცოდეს მანქანის ტარება.

გენდერული სტერეოტიპი ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს, როდესაც ქალს სურს, ოჯახში ჰქონდეს ხმის ამოღებისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის უფლება, ან უჩნდება სურვილი, იმუშაოს, ეს ხშირად სტერეოტიპებით აღსავსე საზოგადოებისთვის მიუღებელია.

კულტურისა და საზოგადოების ცვლილებასთან ერთად იცვლება ქალისა და მამაკაცის სოციალური როლიც. საზოგადოების შეხედულებების გამო ხშირ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ოჯახის საქმეები და შვილების აღზრდა ქალის საქმეა, ხოლო მამაკაცს ოჯახში ეკონომიკური დომინანტის როლი აკისრია. შესაბამისად, გენდერს, ქალისა და მამაკაცის სოციალურ სქესს თავად საზოგადოება ქმნის და იგი დამოკიდებულია იმ კულტურულ ნორმებზე და ფასეულობებზე, სადაც ისინი იმყოფებიან.

**10 წთ.** - შეჯამება, უკუკავშირი: რა იყო ტრენინგში დასამახსოვრებელი? რა გაიგეთ ახალი? რაში დაგეხმარებათ მიღებული ინფორმაცია?

# კონფლიქტის ესკალაცია

## ტრენერი - ლარისა შენგელია



**თემა:** კონფლიქტის ესკალაცია

**მიზანი:** მონაწილეები გაეცნენ კონფლიქტის განვითარების სტადიებს, შეუძლიათ მიღებული ინფორმაციის გავრცელება

**მეთოდები:** მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მონაწილეები ფლობენ ცოდნას კონფლიქტის ესკალაციის სტადიებზე, შეუძლიათ გარკვეულ სტადიაზე კონფლიქტის შეჩერება და მიღებული ინფორმაციის გავრცელება

### ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**10 წთ.** - თემის გაშლა, მონაწილეების გონებრივი მომზადება ინტერაქტივში ჩასართავად.

ყოველი კონფლიქტი თავისებურია, მაგრამ ამავდროულად ყველა კონფლიქტს რაღაც საერთო გააჩნია და იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება კონფლიქტის დროული მოგვარება და ის ესკალაციის გზით ვითარდება, ამ კონფლიქტებს საერთო ექნებათ გზა, რომელსაც კონფლიქტი გადის გაჩაღების სტადიიდან უკიდურეს ესკალაციამდე.

**10 წთ.** - მინილექცია: კონფლიქტის ესკალაციის სტადიები

არსებობს ესკალაციის 5 სტადია, ე.წ. „ესკალაციის კიბე“. ყოველი საფეხური გამწვავების უფრო ღრმა სტადიას ასახავს. ამ დროს ერთმანეთისთვის მიყენებული დარტყმები უფრო და უფრო დამანგრეველი ხდება.

**კონფლიქტის ესკალაციის სტადიები:**

1. გაჩნდა პრობლემა, რომელიც გადაჭრას საჭიროებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მის გადაჭრას შევძლებთ და მზად ვართ, ამაზე ვისაუბროთ.
2. მხარეებს შორის არსებობს უთანხმოება და ორივე მხარე თვითდაცვაზე გადადის. მათ ესმით, რომ დათმობაზე უნდა წავიდნენ, მაგრამ ძნელად პოულობენ საერთო ენას.
3. სახეზეა კონკურენცია: ორივე მხარე მიზნად ისახავს გამარჯვებას, ისინი ბრაზობენ, მწყობრიდან გამოდიან, მაგრამ არც ერთ მხარეს პოზიციების დათმობა არ უნდა.
4. მიმდინარეობს ღია დაპირისპირება: ორივე მხარის ძირითადი მიზანია - შეურაცხყო მეორე მხარე. გამეფებულია მტრული ატმოსფერო. ორივე მხარე თანამოაზრეებს ეძებს.
5. მიმდინარეობს დაუფარავი ომი: ორი მხარის ძირითადი მიზანი მეტოქის განადგურებაა, ორივე მხარეს შურისძიება სურს, არავითარი ურთიერთობა არ არსებობს.

**25 წთ.** - როლური თამაში

დაყავით მონაწილეები 5-6 კაციან ჯგუფებად, შესთავაზეთ

მათ, ერთად აირჩიონ კონფლიქტის რომელიმე მაგალითი, რომელიც ესკალაციის გზით მიმდინარეობს და სცადონ მისი ინსცენირება. მასში კონფლიქტის ესკალაციის ყველა სტადია უნდა იყოს ასახული. ინსცენირებების ნახვის შემდეგ განიხილეთ ისინი.

ტრენერის კომენტარი:

კონფლიქტის ესკალაციის დროს ადამიანის საქციელში გარკვეული ცვლილებები ხდება:

- კონფლიქტის ორივე მხარე მეტოქეს მტრად აღიქვამს.
- იხსენებენ კონკურენტის მხოლოდ ცუდ მხარეებს, საშინელ საქციელს.
- ადამიანი საკუთარ თავზე არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებს და ცდილობს, ყველაფერი მეორე მხარეს გადააბრალოს.
- ორივე მხარე ჩაკეტილი ხდება და წყვეტს ინფორმაციის გაზიარებას, რათა მეტოქემ ის თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენოს.
- მხარეები საკუთარ სიმატლეში სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან და მისი შეცვლა არ სურთ.
- მხარეები იკავებენ პოზიციას: „მე მართალი ვარ და ის - მტყუანი“, მათ შორის ურთიერთობა წყდება.
- მეორე მხარის ნებისმიერი ქმედება მტრულად აღიქმება.

**30 წთ.** - ჯგუფური მუშაობა და პრეზენტაციები

დაყავით მონაწილეები 5-6 კაციან ჯგუფებად. ორ ჯგუფს შესთავაზეთ, წაიკითხონ და გააანალიზონ ოვანეს თუმანიანის ზღაპარი „კატა და ძაღლი“, დანარჩენებს კი - „თაფლის ნვეთი“. განიხილეთ ნაწარმოებში აღწერილი კონფლიქტები და მათი განვითარების სტადიები. შესთავაზეთ მონაწილეებს კონფლიქტის დადებითი მოგვარების შესაძლო გზების ძიება.

დავალება

- აღნიშნული კონფლიქტის დადებითი მოგვარების გზის დახატვა
  - ამ ან სხვა კონფლიქტის დადებითი მოგვარების ვარიანტების ინსცენირება
- შემდეგ თითოეული ჯგუფი წარადგენს საკუთარ ნამუშევარს.

**10 წთ.** - შეჯამება-უკუკავშირი: რა განვიხილეთ ტრენინგის მსვლელობისას? რა ისწავლეთ ამ ტრენინგზე ახალი? აღნიშნეთ 1-2 რამ, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვის.



# ტოლერანტობა

ტრენერი - ანჟელა ჩიხლაძე



**თემა:** ტოლერანტობა

**მიზანი:** მონაწილეებმა იციან, რას ნიშნავს ტოლერანტობა, როგორ უნდა მოხდეს მისი გამოხატვა, გავრცელება და შენარჩუნება

**მეთოდი:** გონებრივი იერიში, მინი-ლექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**მონაწილეთა რაოდენობა - 20**

**რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გაიგეს ტოლერანტობის მნიშვნელობა, შეიძინეს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები და შეუძლიათ გახდნენ მიღებული ცოდნის გამავრცელებლები

## ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**15 წთ.** - დისკუსია: რა არის ტოლერანტობა?

**ტოლერანტობა** გულისხმობს განსხვავებული მსოფლალქმის, ცხოვრების წესების, ქცევისა და ჩვეულებების ატანას. ტოლერანტობა არ ნიშნავს გულგრილობას ან განურჩევლობას, არც

განსხვავებული მსოფლმხედველობის ან ცხოვრების წესის იძულებით მიღებას. ის ნიშნავს სხვებისთვის უფლების მიცემას, იცხოვრონ თავიანთი ინდივიდუალური მსოფლმხედველობის შესაბამისად. მოიცავს ადამიანის თავისუფალი არჩევანის, ზოგადი უფლების პატივისცემას და არა რომელიმე კონკრეტული არჩევანის პატივისცემას, სხვისი აზრების, ქცევისა და შეხედულებების შეწყნარებას. ის გამორიცხავს ძალადობას და აგრესიის ყოველგვარ გამოვლინებას. ადამიანმა უნდა აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები. მიიღოს ადამიანი ისეთი, როგორიც არის, მთავარია ადამიანური ღირებულებები და არა მისი წარმომავლობა ან თუნდაც სოციალური მდგომარეობა.

თავდაპირველად ტოლერანტობის განმსაზღვრელი სიტყვა-ტერმინის არსებობის აუცილებლობა აღმოცენდა ე.წ. სასულიერო წრეებში და ინსტიტუციებში, ვინაიდან დადგა აუცილებლობა იმისა, რომ სხვადასხვა მრწამსისა თუ რელიგიური შეხედულების ადამიანებს შეძლებოდათ შედარებით მშვიდი თანაცხოვრება ერთ კონკრეტულ ტერიტორიულ სივრცეში. ეტიმოლოგიურად სიტყვა უკავშირდება ლათინურ – *tolere*-ს, რაც ატანას (თმენას) ნიშნავს. ლათინური *tolerantia* გულისხმობს მდგრადობასა და ამტანობას, შემწყნარებლობას და დაშვებას.

**10 წთ.** - სავარჯიშო „კომპლიმენტი“

ტრენერი სთავაზობს ჯგუფის წევრებს, ერთმანეთისთვის მოიფიქრონ კომპლიმენტები. აირჩევს ნებისმიერ მონაწილეს და ეუბნება, მაგ., შენ არაჩვეულებრივი ვარცხნილობა გაქვს... მნიშვნელოვანია, რომ კომპლიმენტი მიიღოს ყველა მონაწილემ.

**10 წთ.** - გონებრივი იერიში: რა თვისებები აქვს ტოლერანტ ადამიანს? როგორი შეიძლება იყოს არატოლერანტული ქცევა?

ტოლერანტი ადამიანის თვისებებია: სხვების მიმართ კეთილგანწყობა, განსხვავებული პიროვნების პატივისცემა, განსხვავე-

ბული აზრის პატივისცემა, ჰუმანიზმი, თანაგრძნობა, ერთგულება, პატივისცემა, კეთილგანწყობა, შემწყნარებლობა.

არატოლერანტული ქცევის გამოვლინებაა: შეურაცხყოფა, დაცინვა, იგნორირება, დაშინება, მუქარა, დევნა, ბულინგი, დამცირება.

### **10 წთ. - მინილექცია: თანასწორობა და ტოლერანტობა**

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პირველივე მუხლი აცხადებს: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.“

**თანასწორობა** დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი ელემენტია. ის ადამიანის კეთილდღეობის წინაპირობაა, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. მაგალითად, შეუძლებელი იქნებოდა, ალექსანდრე დიუმე გამხდარიყო მწერალი და შეექმნა ისეთი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებები, როგორებიცაა „სამი მუშკეტერი“, „გრაფი მონტე კრისტო“ და სხვა, თავისი კანის ფერის გამო რომ განედევნათ და მონად გაეყიდათ. ასევე მსოფლიო დაკარგავდა მთელ როკ-ეპოქას, ფრედი მერკური საკუთარი ეროვნების ან სექსუალური ორიენტაციის გამო საზოგადოებას რომ გაერიყა.

**20 წთ.** - ვიდეორგოლის „გახდი ტოლერანტი და შეცვალე სამყარო“ ჩვენება და დისკუსია

კითხვები დისკუსიისთვის: როგორია ტოლერანტი ადამიანი? გაითვალისწინე ვიდეორგოლში გამოყენებული ტოლერანტული და არატოლერანტული ქცევის მაგალითები. შენ როგორ მოიქცეოდი მსგავს შემთხვევებში?

**10 წთ.** - მინილექცია: ტოლერანტობის იდეა

ტოლერანტობა თანასწორობაა. 1995 წლის 16 ნოემბერს UNESCO-ს ინიციატივით გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს ტოლერანტობის პრიციპების დეკლარაცია. მასში აღნიშნულია: „ტოლერანტობა – ეს არის თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არა მარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც. ტოლერანტობა – სათნოებაა, რომელიც შესაძლებელს ხდის მშვიდობას და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას ეხმარება.“

ამავე დეკლარაციის თანახმად, ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შე-

საძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება.

ყოველი წლის 16 ნოემბერს მსოფლიო და მათ შორის საქარ-  
თველოც ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

ტოლერანტობის და თანასწორობის იდეა ჩვენი ისტორიული არჩევანია, რაზეც მიუთითებს მე-19 საუკუნის ქართველი სა-  
ზოგადო მოღვაწეების ნააზრევი (მონაწილეებს ეძლევათ ფერად  
ფურცლებზე ამობეჭდილი ამონარიდები ილიას და იაკობის წე-  
რილებიდან და ისინი კითხულობენ):

ილია ქავჭავაძე: „ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევ-  
ნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერ-  
თმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ  
და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებო, მარტო  
ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი  
ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისგან.“

იაკობ გოგებაშვილი: „თანასწორუფლებიანობის პრინციპი  
განამტკიცებს ჰუმანურ დამოკიდებულებას სხვადასხვა ტომის  
ელემენტებს შორის, ბადებს ურთიერთ ნდობას და სიყვარულს,  
ამყარებს ადგილობრივ და არაადგილობრივ ელემენტებს შორის  
ნაყოფიერ ურთიერთზეგავლენას და ხელს უწყობს მიზნის მიღ-  
წვევისათვის ერთსულოვან ბრძოლას.“

**10 წთ.** შეჯამება - უკუკავშირი: რა იყო ტრენინგში დასამახ-  
სოვრებელი? რა გაიგეთ ახალი? რაში დაგეხმარებათ მიღებული  
ინფორმაცია?

# კონფლიქტის შედეგები

ტრენერი - ლარისა შენგელია



**თემები:** კონფლიქტის შესაძლო შედეგები. ქცევის სტილი კონფლიქტურ სიტუაციებში

**მიზანი:** მონაწილეები გაეცნენ კონფლიქტური ქცევის სტილებს, მიზეზებსა და შედეგებს

**მეთოდები:** მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გააცნობიერეს კონფლიქტის შესაძლო შედეგები. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ კონფლიქტის შედეგს „მოგება-მოგება“. მათ შეიძინეს საჭირო უნარ-ჩვევები და შეუძლიათ გაავრცელონ მიღებული ცოდნა

**ტრენინგის მიმდინარეობა**

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**10 წთ.** - თემის გაშლა, მონაწილეების გონებრივი მომზადება ინტერაქტივში ჩასართავად

ტრენერი ამახვილებს ყურადღებას თემის ირგვლივ, ქმნის ინტერაქტივის წინაპირობას. სვამს კითხვებს, რადგან განსაზღვროს ცოდნა თემატიკის ირგვლივ.

### **15 წთ.** - თამაში

მონაწილეებს შესთავაზეთ თამაში „გადმოიბირე შენს წინ მდგომი ადამიანი“. იატაკზე ცარციტ გაავლეთ ხაზი. გამოიძახეთ მონაწილეების 5 წყვილი და შესთავაზეთ ხაზის ორივე მხარეს ერთმანეთის პირისპირ დადგომა. თითოეულისგან მოითხოვება, უსიტყვოდ გადმოიბიროს მოპირდაპირედ მდგომი მონაწილე. მისაღებია ყველა ხერხი. ხაზი არის კონფლიქტი. დანარჩენებს შესთავაზეთ დამკვირვებლის როლი - მითითებით, ვინ რომელ წყვილს აკვირდება. დამკვირვებლები ყურადღებით უნდა დააკვირდნენ ხაზის წინ მდგომი მონაწილეების ქცევებს და თამაშის ბოლოს აღწერონ, რა დაინახეს და როგორი შედეგი მიიღეს. შემდეგ თვითონ მოთამაშებმა უნდა ახსნან, როგორ მოიქცნენ და შედეგად რა მიიღეს.

ბავშვები სხვადასხვა ვარიანტს შემოგთავაზებენ, რომელთა საფუძველზეც უნდა აიხსნას ქცევის 5 ცნობილი სტილი კონფლიქტურ სიტუაციებში.

თუკი თამაშისას მონაწილეებმა არ აჩვენეს ქცევის 5 სტილი, მაშინ ტრენერს შეუძლია, თავად აირჩიოს ერთ-ერთი მონაწილე, ჩაერთოს თამაშში, აჩვენოს ჯგუფს კონკრეტული ქცევის სტილი და ახსნას შედეგი.

### **10 წთ.** - ტერმინოლოგიის გაშიფვრა

კონფლიქტის რა შესაძლო შედეგები არსებობს? ნებისმიერ პიროვნულ ან ჯგუფურ კონფლიქტს, როგორც სპორტულ თამაშს, შესაძლოა, რამდენიმე შედეგი ჰქონდეს:

მოგება - მოგება

მოგება - წაგება

წაგება - წაგება

მოგება - მოგების შემთხვევაში ორივე მხარე კონფლიქტის შედეგით კმაყოფილია. მათი მოლოდინი გამართლებულია. მეორე შემთხვევაში ერთი მხარე კმაყოფილია, მეორე - არა. მესამე ვარიანტი ორივე მხარისთვის მიუღებელია.

1. მეტოქეობა/კონკურენცია – არის ძალის გამოყენება, როცა ერთი მხარე იგებს, მეორე აგებს.

2. დათმობა – როცა ერთი მხარე მეორის პატივისცემის გამო გადადის მის მხარეს და გამარჯვებას უთმობს მეორე მხარეს.

3. გაქცევა ან თავის არიდება – როცა რაიმე გამოსავლის პოვნა შეუძლებელია და მხარეებს არ შეუძლიათ ორიენტირება, როგორ შეასრულონ დავალება. ამ შემთხვევაში კონფლიქტის შედეგია „ნაგება-ნაგება“.

4. კომპრომისი/ურთიერთდათმობა – როცა ორივე მხარე იყოფს გამარჯვებას და ეთანხმება ერთ ხაზზე დადგომას.

5. თანამშრომლობა – ჟესტების გაცვლის შემდეგ მხარეების ურთიერთთანხმობით მოსწავლეები ერთდროულად ცვლიან ადგილებს. ეს კონფლიქტის საუკეთესო გამოსავალია: მოგება - მოგება.

გაანალიზეთ ბავშვების ქცევები, ახსენით შედეგი, კერძოდ, რითი დამთავრდება კონფლიქტი ქცევის სტილზე დამოკიდებულებით. რა უფრო მისაღებია და რატომ? რომელი ქცევა უზრუნველყოფს ორივე მხარისთვის სასურველ შედეგს „მოგება-მოგება“?

შემდეგ დაფაზე დახაზეთ კოორდინატების სისტემა, სადაც აბსცისის ღერძი გამოხატავს კონფლიქტის მხარეების დამოკიდებულებას, ხოლო ორდინატის ღერძი - მიზნებს, რომლებიც კონფლიქტის მიზეზი გახდა. მონაწილეებს შესთავაზეთ, გრაფიკზე აღნიშნონ (წრით) თითოეული მონაწილის მდებარეობა, ქცევის 5 სტილიდან ერთ-ერთის არჩევით.



### 35 წთ. - მუშაობა ჯგუფებში და პრეზენტაციები

დაყავით მონაწილეები სამ ჯგუფად. თითო ჯგუფს ეძლევა კონფლიქტების მაგალითები, სადაც მოგვარების რამდენიმე გზაა მითითებული. მონაწილეებმა უნდა აირჩიონ ის ხერხი, რომელიც მიიყვანს შედეგამდე „მოგება - მოგება“.

#### ● ტელევიზორის ყურებისას

ტელევიზორში სასაცილო მულტფილმი გადის. ბავშვებს მისი ყურება ძალიან უნდათ. სამწუხაროდ, ის ზუსტად 8 საათზე იწყება, როცა დედ-მამა ახალ ამბებს უყურებს. რა მოხდება?

ა. ბავშვები მშობლებს სთხოვენ, დაუთმონ.

ბ. დედ-მამა: „ხომ იცით, ჯერ ახალ ამბებს უნდა ვუყუროთ.“

გ. მშობლები მეორე ტელევიზორს ყიდულობენ და ბავშვები მულტფილმებს საკუთარ ოთახში უყურებენ.

დ. ....

#### ● დაცინვა

ერთხელ ნანა გაკვეთილებიდან გაიპარა. მას სკოლაში სიარული არ უნდა იმიტომ, რომ რამდენიმე გოგო დასცინის. ისინი ამბობენ, რომ ნანას ადამისდროინდელი ტანსაცმელი აცვია. მასწავლებელმა ნანას დედას დაურეკა და ნანა იძულებულია, სკოლაში დაბრუნდეს. რა მოხდება?

ა. დედა ნანასთვის ახალ ტანსაცმელს ყიდულობს.

ბ. მასწავლებელი გოგონებს გაესაუბრება და დააკვირდება, რომ ნანას აღარ დასცინონ.

გ. მასწავლებელი გოგონებს სჯის.

დ. მასწავლებელი კლასის წინაშე ნანას აქებს (კარგი პასუხისთვის ან სხვა) და ხაზს უსვამს მის უპირატესობას.

ე. ....

● ვის შეუძლია კომპიუტერით სარგებლობა

დათოს და ცოტნეს კომპიუტერთან დაჯდომა ერთდროულად უნდათ. დათოს თამაში უნდა, ცოტნეს კი სამუშაო აქვს დასამთავრებელი. როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა?

- ა. ბიჭები ჩხუბს იწყებენ: ვინც მოიგებს, ის დაჯდება.
- ბ. დედას ეკითხებიან, პირველი ვინ დაჯდება.
- გ. ჯერ დათო ცოტნეს სამუშაოს დასრულებაში ეხმარება, შემდეგ კი ერთად თამაშობენ.
- დ. ჯერ ცოტნე დათოს ეთამაშება, შემდეგ დათო ცოტნეს ეხმარება.
- ე. ცოტნემ დათოს უნდა დაუთმოს და სამუშაო მერე დაასრულოს.
- ვ. ....

**15 წთ.** - შეჯამება-უკუკავშირი

რა იყო ტრენინგში დასამახსოვრებელი? რა გაიგეთ ახალი? რაში დაგეხმარებათ მიღებული ინფორმაცია? აღნიშნეთ 1-2 რამ, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია.

# ადრეული ქორწინება

ტრენერი - ანჟელა ჩიხლაძე



**თემა:** ადრეული ქორწინება

**მიზანი:** მონაწილეებმა იციან ადრეული ქორწინების არსი, მიზეზები, შედეგები და კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ამ საკითხებს საქართველოში

**მეთოდები:** გონებრივი იერიში, მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გააცნობიერეს, რა არის ნაადრევი ქორწინება, რა პრობლემები წარმოჩინდება, როგორ უნდა მოახდინონ მის პრევენცია. მათ შეუძლიათ გახდნენ მიღებული ცოდნის გამავრცელებლები

**ტრენინგის მიმდინარეობა**

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**10 წთ.** - მინილექცია: ადრეული ქორწინება

ტერმინი „ადრეული ქორწინება“ აღწერს ორ ადამიანს შორის იურიდიული ქორწინების ან ჩვეულებითი კავშირის შემთხვევ-

ვებს, როცა ერთი ან ორივე მეუღლის ასაკი 18 წელზე ნაკლებია. ადრეულ ქორწინებას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ბავშვთა ქორწინებას“ ან „იძულებით ქორწინებას“. ადრეული ქორწინება მიჩნეულია ზოგადად ადამიანის და კერძოდ - ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან ბავშვებს, თავისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ მისცენ ქორწინებაზე თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 - ერთ დღეს, 13 გოგონა კი - 30 წამში.

ადრეულ ასაკში ბავშვთა ქორწინების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში შეესაბამება საერთაშორისო მიდგომებს, მაგრამ ადრეული ქორწინების მიზეზების, მასშტაბებისა და შედეგების შესასწავლად სიღრმისეული კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. არსებული შეზღუდული მონაცემები რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ადამიანის უფლებებზე ჩატარებული კვლევებით შემოიფარგლება და მათ ირიბ შედეგს წარმოადგენს. გარდა ამისა, მონაცემები ვერ იქნება სრული, რადგან ნაადრევი ქორწინება ხშირად არ არის ოფიციალურად დარეგისტრირებული - 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირი ოფიციალურად ვერ შეძლებს ქორწინების დარეგისტრირებას. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია დარეგისტრირებული ქორწინებების რიცხვის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, საკმარისი არ არის ნაადრევი ქორწინების ტენდენციების გამოსავლენად, თუმცა კვლევები მაინც საინტერესო ინფორმაციას იძლევა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, დაქორწინებული 16-19 წლის თინეიჯერების რიცხვი 2002 წლიდან 2009 წლამდე გასამმაგდა, 2010-2011 წლებში მონაცემები მცირედით შემცირდა. ყველაზე მეტმა თინეიჯერმა 2009 წელს იქორწინა: 1271 ბიჭი და 5596 გოგონა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს აქვს ნაადრე-

ვი ქორწინების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ისევე, როგორც მოლდოვას (19%) და თურქეთს(14%).

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, 2011-დან 2013 წლის იანვრამდე 7367-მა გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება საბაზო საფეხურის დასრულებამდე (მე-7-მე-9 კლასები), რაც ნაადრევი ქორწინებითაა გამოწვეული. საშუალო განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონსა და თბილისში.

**15 წთ.** – სავარჯიშო: ჯგუფი იყოფა 2 ნაწილად. ჯგუფები მუშაობენ შემდეგ საკითხებზე:

1. რომელი უფლებები ირღვევა ადრეული ქორწინების შემთხვევაში?
2. რა უარყოფითი შედეგები მოჰყვება ადრეულ ქორწინებას?

**10 წთ.** - პრეზენტაციები

**10 წთ.** - ტრენერის კომენტარი

ადრეული ქორწინების პრაქტიკა და გარემოებები საქართველოში განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიისა და რეგიონების მიხედვით. მაგალითად, მშობლების გარიგებით ქორწინება უფრო გავრცელებულია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებში, განსაკუთრებით - რეგიონებში. სხვა მიზეზებს შორისაა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების არასათანადო ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბევრი გოგონა ქართულ ენას სათანადოდ არ ფლობს, რაც უფრო აღრმავებს მათ იზოლაციას და არ უტოვებს ფართო არჩევანს კარიერის მხრივ. საზოგადოებრივი სივრციდან გარიყვა კი ამყარებს გენდერულ როლებს და გოგონები ადრეულ ქორწინებაში ხედავენ ერთადერთ არჩევანს. რიგ რეგიონებში ქალის განათლება და მათი საზოგადოებრივი როლი დაკნინებულია. გოგონები, განსაკუთრებით - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, ტოვებენ სკოლას, რის შემდეგაც მათთვის ქორ-

წინებაა ერთადერთი არჩევანი; სხვა შემთხვევაში, განათლების მიღებას გოგონები დანიშვნის შემდეგ, ქორწინებამდეც წყვეტენ და მხოლოდ მომავალი ქმრის „ნებართვით“ შეუძლია გოგონას განათლების გაგრძელება. ნაადრევი ქორწინების მიზეზი ისიც არის, რომ ოჯახის საქმეებში ჩარევა ხშირად არ მიიჩნევა მიზანშეწონილად მაშინაც კი, როცა ირღვევა კანონი.

**30 წთ.** - ვიდეორგოლის ჩვენება და დისკუსია ნაადრევი ქორწინების თემაზე

ტრენერის კომენტარი:

ადრეული ქორწინება განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს გოგონებსა და ბიჭებზე, ამიტომ შესაძლებელია მისი გენდერული თვალსაზრისით განხილვაც. მსოფლიოში ადრეულ ქორწინებაში მყოფი ბიჭების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გოგონათა რაოდენობაზე. გარდა ამისა, ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონები ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ზენოლის გაზრდილი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ადრეული ქორწინება მოიცავს ჯანმრთელობის რისკსაც - თუ გოგონები ქორწინებისთანავე დაორსულდებიან, შეიძლება გაურთულდეთ ორსულობა და მშობიარობა, რადგან მათი ორგანიზმი მზად არ არის ბავშვის გაჩენისთვის. ადრეული ქორწინების შემთხვევაში როგორც ბიჭები, ასევე გოგონები ხშირად იძულებულები არიან, შეწყვიტონ განათლების მიღება სკოლაში, დაიწყონ მუშაობა და/ან დაკავდნენ საოჯახო საქმეებით. ამრიგად, ადრეული ქორწინება არის სოციალური ინტეგრაციის შემაფერხებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა.

**10 წთ.** - შეჯამება-უკუკავშირი: რა იყო ტრენინგში დასამახსოვრებელი? რა გაიგეთ ახალი? რაში დაგეხმარებათ მიღებული ინფორმაცია?

# კონფლიქტის მოგვარება

## ტრენერი - ლარისა შენგელია



**თემა:** კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნარები

**მიზანი:** მონაწილეები გაეცნენ კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების პრინციპებს და შეუძლიათ კონფლიქტის პრევენცია

**მეთოდები:** მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიტჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მონაწილეები ფლობენ უნარებს და ცოდნას კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ. მათ შეიმუშავეს კონფლიქტის ესკალაციის საკუთარი პრინციპები და მიღებულ ცოდნას ავრცელებენ თავიანთ სოციალურ გუნდში

### ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება-გაცნობა, შესავალი, თემის გაცნობა

**5 წთ.** - ტრენერი ამახვილებს ყურადღებას კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნარებზე. სვამს კითხვებს, რათა განსაზღვროს ცოდნა თემატიკის ირგვლივ

**10 წ.** - მინილექცია: კონფლიქტის მხარეები  
კონფლიქტის მეორე მხარე აღიქმება, როგორც ოპოზიცია ან მტერი.

- იკვეთება ოპონენტის არა მარტო ცუდი, არამედ გამაღიზიანებელი თვისებები.
- ადამიანი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას და ყველაფერში ადანაშაულებს დაპირისპირებულ მხარეს.
- ადამიანი ხდება ჩაკეტილი და არ ცვლის ინფორმაციას, რათა მოწინააღმდეგე ვერ შეძლოს მისი გამოყენება თავისი მიზნებისთვის.
- ადამიანი უფრო და უფრო იჯერებს თავისი მოსაზრებების სისწორეს.
- მხარეები იღებენ პოზიციას: „მართალი ვარ მე და არა ის“.
- მოწინააღმდეგე მხარის ნებისმიერი ქმედება განიხილება, როგორც მტრული.

არსებობს რამდენიმე მარტივი პრინციპი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია კონფლიქტის ესკალაციის შეჩერება.

**20 წ.** - მაგალითების განხილვა და დისკუსია

**10 წ.** - მინილექცია: როგორ მივაღწიოთ კონფლიქტის ესკალაციას

- იყავით პასუხისმგებლები საკუთარ საქციელზე, აზრებსა და გრძნობებზე (მაგალითად, თუ გადიხარ კარის გაჯახუნებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონფლიქტი მოგვარდეს სწრაფად).
- ეცადეთ, რომ მოპირისპირე მხარის ქცევამ არ გიკარნახოთ საკუთარი ქცევა (მაგალითად, თუ მოწინააღმდეგე მხარე ყვირის, შეეცადეთ, არ უპასუხოთ ყვირილით; ილაპარაკეთ რაც შეიძლება მშვიდად და სწორად შეარჩიეთ სიტყვები, მაგალითად, „შენ მე მატყუებ“ კი არა, არამედ - „მე თავს ვგრძნობ მოტყუებულად“).



- გახსოვდეთ, რომ ყველა ადამიანს აქვს არჩევანის უფლება და უნდა მოიქცეს საკუთარი შეხედულებების შესაბამისად, იმის მიუხედავად, როგორ იქცევიან სხვები.
- გამოხატეთ თქვენი გრძნობა მოწინააღმდეგის დაშინების გარეშე (მაგალითად, „განანებ“, „აი ნახავ“, „მე შენ გაჩვენებ“ და სხვა).
- ნუ გახვალთ სადავო საკითხის ფარგლებს გარეთ, ილაპარაკეთ კონკრეტულ პრობლემაზე (მაგ., „მგელი და კრავი“). არ მიაყენოთ შეურაცხყოფა მისი ოჯახის წევრების ხსენებით.
- არ ახსენოთ სხვა ადამიანების ან ავტორიტეტების აზრი (მაგ., კლასის დამრიგებელმა თქვა, რომ „შენ ცუდი ხარ“ და სხვა).
- არ გამოიყენოთ სიტყვები „ყოველთვის“ და „არასდროს“, „მე ვერასდროს დაგეთანხმებით“.
- ნუ მიაკრავთ სხვას „იარლიყს“ („სულელი“, „ბრიყვი“ და ა.შ.).
- ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას ნაჩქარევად, დაელოდეთ, სანამ გრძნობები არ ჩაცხრება.

**30 წთ.** - მინისცენები: სიტუაციების გათამაშება და დისკუსია

**10 წთ.** - შეჯამება-უკუკავშირი: რა განვიხილეთ ტრენინგის მსვლელობისას? რა ისწავლეთ ამ ტრენინგზე ახალი? აღნიშნეთ 1-2 რამ, რაც მნიშვნელოვანია თქვენთვის.

# ეთიკის და ესთეტიკის ნორმები. შვილების და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება

ტრენერი - ანჟელა ჩიხლაძე



**თემა:** ეთიკის და ესთეტიკის ნორმები, შვილების და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება

**მიზანი:** მონაწილეებმა იციან ეთიკის და ესთეტიკის არსი. იციან, როგორ მოიქცნენ, მშობელსა და შვილებს შორის ეთიკური და ესთეტიკური დამოკიდებულება რომ ჩამოყალიბდეს

**მეთოდები:** გონებრივი იერიში, მინილექცია, დისკუსია, თამაში, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაცია, როლური თამაში, უკუკავშირი

**ჩატარების ადგილი:** დასავლეთ საქართველოს 10 სამიზნე მუნიციპალიტეტი

**ჩატარების თარიღი:**

**ხანგრძლივობა:** 90 წუთი

**მონაწილეთა რაოდენობა:** 20 თითოეულ მუნიციპალიტეტში

**საჭირო რესურსი:** კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი, ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი

**მოსალოდნელი შედეგები:** მოზარდებმა გააცნობიერეს, რა არის ეთიკა, ესთეტიკა, გააცნობიერეს შვილებისა და მშობლების დამოკიდებულება, შეიძინეს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ ლიდერებად და გაავრცელონ მიღებული ცოდნა.

## ტრენინგის მიმდინარეობა

**5 წთ.** - მისალმება, შესავალი, თემის გაცნობა

**5 წთ.** - გონებრივი იერიში: რა არის ეთიკა და ესთეტიკა? მონანილეები გამოხატავენ საკუთარ აზრს აღნიშნულ საკითხზე. მონანილეებისგან პასუხების მიღების შემდეგ ტრენერი აჯამებს ინტერაქტივს.

**10 წთ.** - მინილექცია: ეთიკური ქცევა და ეთიკის პრინციპები  
**ეთიკა** - ეთოსი ბერძნული სიტყვაა და ზნეს ნიშნავს. ეს არის ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ. ტერმინი „ეთიკა“ პირველად იხმარა არისტოტელემ. უფრო ადრე ეთიკის საკითხები გაარჩია პლატონმა. მანვე შემოგვინახა არსებითი ცნობები სოკრატეს ეთიკურ შეხედულებებზე. სწორედ სოკრატეს მიიჩნევენ პირველ ფილოსოფოსად, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევდა ზნეობის პრობლემებს.

ეთიკა გულისხმობს თითოეული ადამიანის შესაძლებლობას, დაადგინოს, რა ქმედებები არის სწორი და რა - არასწორი. ეს არის ისეთი ღირებულებების გამოყენება, როგორებიცაა: პატიოსნება, გულწრფელობა, ერთგულება, სამართლიანობა, მშვიდობა და თანასწორობა.

**ეთიკური ქცევა** არის ადამიანის საქმიანობის გზა, რომელიც ითვალისწინებს სხვა ადამიანების კეთილდღეობას. ეს ქცევა ითვლება კარგ ტონად. საპირისპიროა არაეთიკური ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანების ფიზიკურ და გონებრივ კეთილდღეობას.

ეთიკური ქცევის მაგალითებია: შშმ პირის დახმარება ქუჩაში გადასვლისას; ფარმაცევტის მხრიდან მედიკამენტის შეცვლა დაბალფასიანი იგივე ეფექტის ნამლით; სხვა ადამიანის დახმარება.

ეთიკურ ქცევას საზოგადოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ადგენს სტანდარტებს ისეთი ქმედებების მი-

მართ, როგორებიცაა: გაუპატიურება, მკვლელობა, ძარცვა და საერთოდ - ადამიანის უფლებების დარღვევა.

პროფესიებს აქვთ ეთიკის კოდექსი, რომელიც არეგულირებს პროფესიონალების ქცევას თავიანთი საქმიანობის სფეროში. მაგალითად, ეთიკის კოდექსი ექიმების, ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა თუ იურისტებისთვის.

ეთიკური ქცევა შედგება შემდეგი პრინციპებისგან: გამჭვირვალობა, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, მთლიანობა, თანასწორობა, თანაგრძნობა.

**10 წთ.** - ეთიკური ქცევის მაგალითების განხილვა

**10 წთ.** - მინილექცია: ესთეტიკური ღირებულებები

**ესთეტიკა** (ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გრძნობას, შეგრძნებას. ეს არის ფილოსოფიის დარგი, რომელიც არკვევს ხელოვნებისა და მშვენიერების ბუნებას, ღირებულებასა და საზრისს. ესთეტიკა ცალკე ფილოსოფიურ დისციპლინად ჩამოაყალიბა გერმანელმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ გოტლიბ ბაუმგარტენმა XVIII საუკუნეში, მანვე დაარქვა ეს სახელი. მანამდე ესთეტიკის საკითხებს მოსაზღვრე ფილოსოფია (ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ, ეთიკურ, ნატურფილოსოფიურ, თეოლოგიურ და ა. შ.) პრობლემებთან ერთად განიხილავდნენ, თუმცა უკვე პლატონმა და არისტოტელემ გამოავლინეს ესთეტიკის პრობლემათა თავისთავადი მნიშვნელობა.

ესთეტიკური ღირებულებები არის ის ფასეული შეფასებები, რომლებსაც ადამიანები აკეთებენ იმის მიმართ, რასაც აღიქვამენ. ეს ცნება ასევე მოიცავს ემოციებსა და გრძნობებს, რომლებსაც ეს ადამიანები განიცდიან ამგვარი ფასეული შეფასებებისას.

ესთეტიკური ღირებულებების მაგალითებია: სილამაზე, დელიკატესი, ჰარმონია, შემზარავი ან იდუმალი. ესთეტიკური ღირებულებებიდან გამომდინარე, ადამიანს შეუძლია შექმნას

აზროვნების სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ სტიმულზე რეაგირების მათ გზებს. ეს სტრუქტურა ასევე განსაზღვრავს გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ უფრო ღრმა ასპექტებს.

ამ ტიპის ღირებულება წარმოადგენს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ადამიანები თვლიან, რომ რაღაც სასიამოვნო ან უსიამოვნო სანახავია. ის ამოსავალი ნერტილია გონებრივი კონსტრუქციებისათვის, რომლებიც ეხება იმას, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები სამყაროს გარშემო.

ესთეტიკური ღირებულებებია: სილამაზე, სიმახინჯე, უხამსობა, დიდებულება, ჰარმონია.

**5 წთ.** - ფრაგმენტების ჩვენება ფილმიდან დედაშვილობის თემაზე

**5 წთ.** - მინილექცია: შვილების და მშობლების ურთიერთდამოკიდებულება

**მშობლებისა და შვილების ურთიერთობა** მარადიული საკითხია, რომელზეც უამრავი რამ დაწერილა და თქმულა წარსულში, ეს თემა მუდამ აქტუალური იქნება მომავალშიც.

მშობელთა უმრავლესობა უკმაყოფილოა საკუთარი შვილებით, აკრიტიკებს მათ მოქმედებებს და სურთ, შვილების ცხოვრების გზა თავად გაიარონ. თავის მხრივ, შვილებს არ მოსწონთ საკუთარი მშობლები, პირად ცხოვრებაში ჩარევის, კონტროლისა და მანიპულაციების, სკანდალებისა და საყვედურების გამო.

ასეთი სიტუაცია სათავეს იღებს კაცობრიობის შექმნის ისტორიიდან.

რა თქმა უნდა, არსებობენ ბედნიერი ოჯახები, სადაც მშობლებს და შვილებს შორის სრული ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევს. თუმცა, სამწუხაროდ, უამრავია დესტრუქციული ოჯახიც, რომელშიც ფერხდება ადამიანის, როგორც პიროვნების, ნორმალური და თავისუფალი განვითარება.

**10 წთ.** - გონებრივი იერიში: მე არ მომწონს, რომ ჩემი მშობლები...

**10 წთ.** - მინილექცია: პრობლემები მშობლებთან ურთიერთობისას

ეს პრობლემები შეგვიძლია ასე დავაჯგუფოთ:

1. ჰიპომზრუნველობა, რომლის გამოც თინეიჯერი თავს მართოდ გრძნობს და უმცირდება საკუთარი „მნიშვნელოვნების“ შეგრძნება. ვლინდება თინეიჯერის მხრიდან მშობლისადმი სხვადასხვა „ისტერიული“ მოთხოვნით და ბრალდებით, რომლებიც, მშობლების თვალთ, საფუძველსაა მოკლებული.
2. ჰიპერმზრუნველობა, რომელსაც თინეიჯერი ოჯახურ დიქტატურად აღიქვამს, უყალიბდება არასრულფასოვნების კომპლექსი, იტანჯება სხვადასხვა სახის კომპარული სიზმრებით. ხშირად თავს იჩენს კომუნიკაციის პრობლემები.
3. „თაობათა ბრძოლა“ გამოწვეულია მშობელთა მხრიდან დროის ახალი გამოწვევების მიუღებლობით, ხოლო მოზარდთა მხრიდან „ძველი ღირებულებების“ განურჩეველი უგულვებლყოფით. საკითხისადმი ორივე მხარის უკომპრომისო დამოკიდებულება იწვევს ფსიქოემოციურ დაძაბულობას, კონფლიქტებს და გაუცხოებას.
4. მშობლების მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობების შვილებზე გადატანის მცდელობა, რაც მოზარდებში ბადებს „მშობლების იმედების ვერგამართლების შიშს“.
5. მოზარდი გარდატეხის ასაკში სამყაროს ახლებურ ხედვას იწყებს, ხდება ძველი ცხოვრების გარკვეული ეტაპების გადაფასება და მათზე ახალი, ძველისგან განსხვავებული შეხედულებების ჩამოყალიბება. საკუთარ ცხოვრებაში დანახული ნაკლოვანებების მწვავედ აღქმა და შეუგუებლობა. მშობლების ქცევების, აზრების მიუღებლობა.

6. ბრძოლა ოჯახში საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. მოზარდები, რომლებმაც გარკვეული პირობების გამო ვერ მოახერხეს სათანადო აღიარების მოპოვება თანატოლთა შორის, ცდილობენ დაიკავონ ეს ნიშნული საკუთარ ოჯახში, ხოლო მშობლები მოზარდის პრობლემისადმი გულისხმიერი მიდგომის ნაცვლად, უნევენ მათ ხისტ წინააღმდეგობას „საკუთარი ადგილის დაკარგვის შიშით“.
7. გაუთავებელი კონფლიქტები უფროსებს შორის, რაც ხშირად ხდება თინეიჯერის თვალში მშობლის ავტორიტეტის დაკარგვის მიზეზი.
8. მშობლების მცდელობა, შვილების სამუალებით მოახდინონ საკუთარი განუხორციელებელი ოცნებების რეალიზება. რაც მოზარდებში ბადებს პროტესტს და შემდგომში მძიმე განხეთქილების მიზეზი ხდება.

ეს არის მშობლებსა და თინეიჯერებს შორის კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მიზეზები და ორივე მხარის მიერ დაშვებული შეცდომები. პრობლემებს ხშირად იწვევს თინეიჯერის და მისი მშობლების „სამეტყველო ენათა“ სხვაობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პრიორიტეტთა სხვაობა და ამა თუ იმ საკითხის მიმართ განსხვავებული ხედვა. საჭიროა, რომ თითოეულმა გაიაზროს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ამ კონფლიქტის წარმოშობაში და ეცადოს მის მოგვარებას.

**10 წთ.** - მინისცენარის გათამაშება თემაზე: მშობელთა და შვილთა დამოკიდებულებები. მოზარდები გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს, ავლენენ ემოციურ ინსტიქტებს.

**10 წთ.** - თემის შეჯამება, უკუკავშირი - რა იყო ახალი, როგორ გამოვიყენებ მიღებულ ინფორმაციას



## ქალთა ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - ლელა ჯალაღონია

პროექტის ასისტენტი - ნინო ტაბუკიანი

რედაქტორი - ლალი შენგელია

დიზაინი - ლია კოსტავა

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მაგალობლიშვილის 6

ტელ: 27 13 68

ელფოსტა: [womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com)

ვებგვერდი: [www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)

ფეისბუქგვერდი: [www.facebook.com/fsokhumi/](http://www.facebook.com/fsokhumi/)



